ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“-ს 2022 - 2023 წლის გაწეული მუშაობის

ანგარიში

ხარაგაულის ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“ ემსახურება მომავალი თაობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მოსწავლე ახალგაზრდობის სხვადასხვა სპორტულ სექციებში გაერთიანებას და არჩეული სპორტის სახეობაში შეძენილი სპორტული მომზადების, ცოდნისა და უნარ - ჩვევების რეალიზებას.

ადგილობრივი შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას, ტურისტული ადგილების ინფრასტრუქტურის განვითარებას და სხვა მუნიციპალური პროგრამების განხორციელების მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობას.

2022 წლის მდგომარეობით სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი აერთიანებს **15** სპორტულ მიმართულებას ესენია: ფეხბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი , ჭადრაკი და შაში,ძიუ-დო ,თავისუფალი ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, კარატე ტაიკვანდო, კარატე კუნგ-ფუ-სანდა, სპორტული კარატე , მძლეოსნობა, მკლავჭიდი , რაგბი, კინგ - ბოქსინგი. სულ **30** ჯგუფია, ჯგუფები გახსნილია დაბაში, ბორითში, ხევში, კიცხში,ბორში, ვერტყვიჭალაში, ნადაბურში, ღორეშაში, ვახანში და მოლითში.

სპორტულ ცენტრში დასაქმებულია 72 თანამშრომელი, მათ შორის **42** ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და **30** მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში, როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე, საზღვარგარეთ.

ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“-ს 2022 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 480 710 ლარს, საკუთარი შემოსავალი იყო 10 610, აქედან 5 000 ლარი ჩაგვერიცხა ფეხბურთის განვითარების ფონდიდან ჩვენ მიერ წარდგენილი პროექტის საფუძველზე შესაბამისი სპორტული ინვენტარის

შესაძენად, 5 610 ლარი მიღებულია სტადიონის გაქირავების და ტრენაჟორების დარბაზის მომსახურების ქირიდან.

ბიუჯეტიდან შრომის ანაზღაურებაზე გეგმით უნდა გახარჯულიყო 424 980, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 424 980 ლარი.

სამივლინებო თანხებმა გეგმით შეადგინა 3 050 ლარი, ხოლო ფაქტიურმა ხარჯმა 2 974 ლარი(მათ შორის,ტრანსპორტირების ხარჯი, დღიური ნორმა და სასტუმროს ხარჯი).

ოფისის ხარჯი გეგმით შეადგენდა 12 565 ლარს, ფაქტიურად გახარჯულია

12 530 ლარი.

რბილი ინვენტარი (სპორტული ინვენტარი) - 4 825 ლარი

ტრანსპორტის ხარჯი -6 874 ლარი

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 5 095 ლარი

სოციალური ხარჯი - 128 ლარი(ბიულეტენი)

სხვა ხარჯები (წარმატებულ სპოტსმენებზე ერთჯერადი ფულადი ჯილდო ,ბავშვების სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის ხარჯი , კვება ტრანსპორტირება, საწევრო) - 18 312 ლარი, აქედან- ერთჯერადი ფულადი ჯილდოს სახით ჯამში გაიცა 8 200 ლარი.

ბანაკის საზაფხულო კვების ხარჯი შეადგენს 4 653 ლარს.

ჩვენი ორგანიზაციის საკუთარი შემოსავალია - 10 610 ლარი, აქედან 546 ლარი გახარჯულია -სხვადასხვა მიმდინარე ხარჯში, 537 ლარი გახარჯულია - სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე , 830 ლარი - ტრანსპორტის ხარჯში, 4 750 ლარი - რბილი ინვენტარისა და უნი ფორმის შეძენის მიზნით, 3 374 - ოფისის ხარჯში.

საკუთარი შემოსავლიდან ნაშთი წლის ბოლოსათვის დარჩა - 2 405 ლარი.

2022 წლის სპორტული ღონისძიებებია:

2022 წლის 30 -31 იანვარს ქალაქ რუსთავში ჩატარდა საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 23 წლამდელთა შორის, ევსემ შველიძემ დაიკავა I ადგილი და გადაეცა ფულადი ჯილდო 3000 ლარი ა(ა)იპ-ის ბიუჯეტიდან.

2022 წლის 11-12 მარტს ბულგარეთში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში 23 წლამდელთა შორის, ევსემ შველიძემ დაიკავა II - ადგილი და გადაეცა 3000 ლარი ა(ა)იპ-ის ბიუჯეტიდან.

2022 წლის 29-30 აპრილი ოზურგეთში ჩატარდა საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 15 წლამდელთა შორის, ვახო ნიქაბაძემ დაიკავა - III ადგილი და გადაეცა ფულადი ჯილდო 600 ლარი ა(ა)იპ-ის ბიუჯეტიდან.

2022 წელს 2009 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო იმერეთის ღია პირველობაზე (გივი ნოდიას სახელობის თასის გათამაშებაში), სადაც გამართა რვა გასვლითი და რვა ადგილობრივი თამაში.

2022 წლის 4 მარტს ბორის საჯარო სკოლაში ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში მოსწავლეთა შორის.

2022 წლის 23 მარტს ხარაგაულის სპორტულ დარბაზში ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში (უფროსი ასაკი).

2022 წლის 25 მარტს ვერტყვიჭალაში ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა კალათბურთში საჯარო სკოლის მოსწავლეთა შორის (ვაჟები).

2022 წლის 1 აპრილს ხარაგაულის სპორტულ დარბაზში ჩატარდა შოთიკო ჭიპაშვილის და ალეკო ავალიშვილის ხსოვნის ტურნირი მინი ფრეხბურთში.

2022 წლის 8 აპრილს ხარაგაულის სპორტულ დარბაზში ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა ჭადრაკში მოსწავლეთა შორის (ვაჟები და გოგონები).

2022 წლის 15 აპრილს ხარაგაულის სპორტულ დარბაზში ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა კალათბურთში საჯარო სკოლის მოსწავლეთა შორის (გოგონები).

2022 წლის 20 აპრილს ბორითში ჩატარდა ლაშა კურტანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში 2006 -2007 წწ. და 2009 -2010 წწ. დაბადებულ მოსწავლეთა შორის.

2022 წლის 4 მაისს ხარაგაულის სპორტულ დარბაზში ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა მკლავჭიდში მოსწავლეთა შორის (ვაჟები და გოგონები).

2022 წლის 13 ივნისს ხარაგაულის სპორტულ დარბაზში ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა მინი ფეხბურთში ორგანიზაციებს შორის.

ოლიმპიურ დღესთან დაკავშირებით ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა ჭადრაკში დიდებს შორის.

2022 წლის ივლისის თვეში სოფელ კიცხში ახალგაზრდების ინიციატივით და ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი"-ის ხელშეწყობით ჩატარდა რატი ბედიაშვილის ხსოვნის ტურნირი მინი ფეხბურთში, გამარჯვებულ გუნდს გადაეცა ჩვენი ორგანიზაციის მიერ დაწესებული თასი.

2022 წლის აგვისტოს თვეში ხარაგაულის სოსო და მურთაზ აბაშიძეების სახელობის სტადიონზე ჩატარდა გამოჩენილი ფეხბურთელისა და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ნოდარ ახალკაცის ხსოვნისადმი მიძღვნილი თასის გათამაშება შვიდკაცა ფეხბურთში ხარაგაულის ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის.

2022 წლის 27 აგვისტოს სოფელ ვახანში ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი"-ს ხელშეწყობით ჩატარდა მერაბ არევაძის ხსოვნის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, სადაც გამარჯვებულებს და პრიზიორებს გადაეცათ შესაბამისი ხარისხის სიგელები, მედლები და თასები.

2022 წლის 18 სექტემბერს სოფელ ხიდარში ჩატარდა არსენ ბერაძის ხსოვნის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში 2003 – 2005 და 2006 – 2008 წლებში დაბადებულ მოზარდებს შორის და დიდებში.

2022 წლის 18 ოქტომბერს ხარაგაულის სპორტულ დარბაზში ჩატარდა გოჩა ბუაჩიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მოსწავლეთა შორის მინი ფეხბურთში.

2022 წლის 30 ოქტომბერს ხარაგაულის სპორტულ დარბაზში ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა ძიუდოში 2008 - 2009- 2010 და 2011 – 2012 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის.

2022 წლის 28 ნოემბერს ხარაგაულის სპორტულ დარბაზში ჩატარდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ეგიდით (საბჭოს თავ
მჯდომარე,დავით კიკნაძე) ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში და შაშში მოსწავლეთა შორის (ვაჟები და გოგონები).

ქალაქ ქუთაისში ჩატარდა იმერეთის დივიზიონის საკვალიფიკაციო თამაშები კალათბურთში , სადაც მონაწილეობა მიიღო ხარაგაულის ვაჟ კალათბურთელთა გუნდმა.

2022 წლის ნოემბერში გურიის ღია ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო კარატე ტაიკვონდოს გუნდმა.

2022 წლის 10 დეკემბერს ქალაქ ქუთაისში ჩატარდა ღია ჩემპიონატი მკლავჭიდში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა სპორტსმენებმა.

2022 წლის 17 – 18 დეკემბერს ქალაქ ქუთაისში ჩატარდა თეიმურაზ აფხაზავას და გიორგი ლევიძის ხსოვნის ტურნირი ბერძნულ -რომაულ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა მოჭიდავეებმა.

2022 წელს ტურიზმის მიმართულებით ჩატარებული ღონისძიებები:

2022 წლის თებერვლის თვეში „რუსთავი 2“-ს ჟურნალისტებს გავაცანით იმერული სამზარეულო. სოფ. ბოღოღიანში (ნინო ხარაძის ოჯახში)

მარტის თვეში გაკეთდა კოლაჟი „ასე ლამაზად ვაცილებთ ზამთარს“. კოლაჟში წარმოდგენილია მარელისის ხერგილი და ნუნისის ბუნება. გამარჯვებულ მონაწილეს გადაეცა ფასიანი საჩუქარი.

ჩვენი მოწვევით აპრილის თვეში კიცხის საჯარო სკოლის, შერეული კლასის მოსწავლეებმა VII – X კლასის ჩათვლით მონაწილეობა მიიღეს ვახანის ციხეზე ლაშქრობაზე.

ჩვენ მიერ დაგეგმილი ლაშქრობის ეგიდით ვახანის საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ლაშქრობა-ტურში და მოინახულეს ქუცუმის მთის მონასტერი, კოზმანის სალოცავი და უბისის ეკლესია-მონასტერი.

ივნისის თვეში ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის მოსწავლეები იმყოფებოდნენ ორ დღიან ლაშქრობაზე, სადაც მოინახულეს ნუნისის მონასტერი ,, ბერების კლდე'' და ნუნისის გოგირდოვანი აბანოები.

საღანძილის საჯარო სკოლის მოსწავლეები იმყოფებოდნენ ლაშქრობაზე, დევების გამოქვაბულში , ცაშეკრულას კანიონზე, რუთის ჩანჩქერზე და ასევე ხარაგაულის სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებზე.

ივნისის თვეში ჩატარდა მოყვარულთა შეჯიბრი თევზაობაში „იღბლიანი ანკესი“, სადაც მონაწილეობა მიიღო ცხრამეტმა მონაწილემ. გამოვლინდნენ გამარჯვებულები,რომლებსაც გადაეცათ ფასიანი საჩუქრები და სიგელები.

აგვისტოში მოვაწყვეთ კარვების საზაფხულო ბანაკი სოფელ ლეღვანში (ოთხ ნაკადად) თითოელ ნაკადში 40 - მდე ბავშვი იმყოფებოდა.

2023 წლის 9 სექტემბერს მოეწყო პირველ კურსელებთან შეხვედრა, სადაც მონაწილეობა მიიღო 50 - მა სტუდენტმა.

2022 წლის ოქტომბრის თვეში ჩავატარეთ მხატვართა კონკურსი „ შემოდგომის პალიტრა“, სადაც მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის 60 მოსწავლემ, მონაწილეებს გადაეცათ სიგელი, ხოლო კონკურსში გამოვლენილ 9 მოსწავლეს გადაეცა ფასიანი საჩუქარი.

2022 წლის 27 ოქტომბერს ტურიზმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩვენ მიერ მოეწყო ტური ჩხერის ციხეზე.

სკოლებს შორის ჩავატარეთ შემეცნებითი კონკურსი „ვიცნობდეთ ხარაგაულს“, სადაც მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. კონკურსში გამარჯვებულ პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულ გუნდებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები, მონაწილეებს გადაეცათ სიგელები.

ჩვენი თანამშრომლობის ფარგლებში 2022 წლის 28 - 30 დეკემბერს ქალაქ ქუთაისში დმო იმერეთის მიერ ორგანიზებულ რეწვის ოსტატთა ნამუშევრების საახალწლო ბაზრობაში მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის ხუთმა რეწვის ოსტატმა.

2023 წლის ხუთი თვის გაწეულის მუშაობის შესახებ ანგარიში:

2023 წლის მდგომარეობით „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი “ აერთიანებს 14 სპორტულ მიმართულებას ესენია: ფეხბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი ,ძიუ-დო, თავისუფალი ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, კარატე ტაიკვანდო, კარატე კუნგ-ფუ-სანდა, სპორტული კარატე , მძლეოსნობა, მკლავჭიდი , რაგბი, კინგ -ბოქსინგი.

სულ 29 ჯგუფია, ჯგუფები გახსნილია დაბაში, ბორითში, ხევში, კიცხში,ბორში, ვერტყვიჭალაში, ნადაბურში, ღორეშაში, ვახანში და მოლითში.

დღეის მდგომარეობით, სპორტულ ცენტრში დასაქმებულია 71 თანამშრომელი, მათ შორის 42 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 29 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში ,როგორც საქართველოს მასშტაბით , ასევე, საზღვარგარეთ.

ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“-ს 2023 წლის ბიუჯეტი შეადგენს 590 000 ლარს, საკუთარი შემოსავალის ნაშთი შეადგენს 2 405, ხუთი თვის მონაცემებით საკუთარი შემოსავალი შეადგენს - 470 ლარს. (ტრენაჟორების დარბაზის მომსახურებიდან).

ბიუჯეტიდან შრომის ანაზღაურებაზე დაგეგმილია 218 400 ლარი,

ამჟამად,ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 208 836 ლარი.

სამივლინებო თანხებში დაგეგმილია 2 700 ლარი, ფაქტიური ხარჯია - 1 880 ლარი(მათ შორის,ტრანსპორტირების ხარჯი, დღიური ნორმა და სასტუმროს ხარჯი).

ოფისის ხარჯში დაგეგმილია - 9 580 ლარი, ფაქტიურად გახარჯულია

8 163 ლარი.(კომუნალური ხარჯი,შენობა ნაგებობის მიმდინარე რემონტის ხარჯი)

რბილი ინვენტარი - 110 ლარი

ტრანსპორტის ხარჯი -2 209 ლარი

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 86 ლარი

სოციალური ხარჯი - 3 376 ლარი(ბიულეტენი,დეკრეტი)

სხვა ხარჯები (ერთჯერადი ფულადი ჯილდო და სპორტულ ღონისძიებებში ბავშვების მონაწილეობის ხარჯი , კვება , ტრანსპორტირება, საწევრო) - 5 725 ლარი, აქედან ერთჯერადი ფულადი ჯილდოს სახით ჯამში გაიცა 600 ლარი.

საკუთარი შემოსავალია - 2874 ლარი, აქედან არაფინანსურ აქტივების მუხლში,კერძოდ - კომპიუტერის პროცესორის შესაძენად გახარჯულია - 700

ლარი, 450 ლარი გახარჯულია -სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებში, 400 ლარი გახარჯულია - სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე , 22 ლარი - ოფისისთვის საჭირო მასალების შეძენის ხარჯი.

506 ლარი - სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი, 100 ლარი - კატრიჯების შეძენა და დამუხტვა. საკუთარი სახსრების ნაშთი დღეის მდგომარეობით შეადგენს - 696 ლარს.

2023 წლის მაისის თვეში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ქალბატონმა მანანა ბარბაქაძემ სკოლას ახალგაზრდებისათვის საჩუქრად გადმოგვცა ტენისის მაგიდა.

2023 წლის 5 თვის სპორტული ღონისძიებები:

2023 წლის 7 – 10 იანვარს ქალაქ ბათუმში ჩატარდა საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში დიდებს შორის, სადაც ზაურ ბერაძემ და ევსემ შველიძემ დაიკავეს მეორე ადგილი.

2023 წლის 11 – 12 -13 იანვარს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს

პირველობა ბერძნულ - რომაულ ჭიდაობაში 23 წლამდელთ შორის, მონაწილეობა მიიღო ჩვენი ცენტრის მოჭიდავემ.

2023 წლის 25 იანვარს გორში ჩატარდა იოსებ დურგლიშვილის ხსოვნის ტურნირი მკლავჭიდში, მონაწილეობა მიიღო ხუთმა მოსწავლემ.

2023 წლის 9 თებერვალს ჩატარდა მუნიციპალიტეტის ღია პირველობა მაგიდის ჩოგბურთში მოსწავლეთა შორის (ვაჟები, გოგონები).

2023 წლის 3 -5 თებერვალს ქალაქ ქუთაისში ჩატარდა აკაკი ნუცუბიძის ხსოვნის ტურნირი ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში მონაწილეობა მიიღო ხუთმა მოსწავლემ.

2023 წლის 11 -12 თებერვალს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში გოგონათა შორის, სადაც მონაწილეობა მიიღო ჩვენი ცენტრის მოჭიდავემ ნინო ჭყოიძემ და დაიკავა მესამე ადგილი.

ნინო ჭყოიძეს ა(ა)იპ "სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი"-ს წესდების საფუძველზე გადაეცა ფულადი ჯილდო 600 ლარის ოდენობით, ა(ა)იპ-ის ბიუჯეტიდან.

2023 წლის 12 მარტს ქალაქ თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტურნრი

კუნგ-ფუ-სანდაში, სადაც მონაწილეობა მიიღო სამმა მოსწავლემ.

2023 წლის 27 -29 მარტს ოზურგეთში ჩატარდა საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობა მიიღო წარმატებით ოთხმა მოსწავლემ.

2023 წლის 17 მარტს ხარაგაულში ჩატარდა მუნიციპალიტეტის ღია პირველობა მკლავჭიდში მოსწავლეთა შორის (ვაჟები).

2023 წლის 24 მარტს ხარაგაულში ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა ვაჟებს შორის კალათბურთში.

2023 წლის 31 მარტს ხარაგაულში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ტარიელ შავიძის ხსოვნის ტურნირი ძიუდოში, სადაც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ნაკრებმა გუნდებმა.

2023 წლის 4 -5 აპრილს თეთრიწყაროში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი მკლავჭიდში, სადაც მონაწილეობა მიიღო ოთხმა მოსწავლემ.

2023 წლის აპრილიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება ჯემალ ხერხაძის სახელობის თასის გათამაშება 2013 წელს დაბადებულ მოსწავლეთა შორის ფეხბურთში. ფესტივალში მონაწილეობას იღებს ხარაგულის ფეხბურთელთა გუნდი. ფეხბურთელებმა ოთხი გასვლითი და ხუთი ადგილობრივი შეხვედრა გამართეს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ნაკრებ გუნდებთან.

2023 წლის 8 აპრილს ხარაგაულში ჩატარდა გოჩა ბუაჩიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კალათბურთში გოგონათა შორის. ტურნირში მონაწილეობას ღებულობდნენ ქუთაისის, საჩხერის, ჭიათურის, ვერტვიჭალისა და ხარაგაულის ნაკრები გუნდები. გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდა გოჩა ბუაჩიძის სახელობის თასით.

2023 წლის 13 აპრილს ხარაგაულში ჩატარდა გოჩა ბუაჩიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის მინი ფეხბურთში, სადაც გამარჯვებულ გუნდს გადაეცა თასი.

2023 წლის 18 -19 აპრილს ქალაქ თბილისში ჩატარდა ავთანდილ ჭრიკიშვილის სახელობის მეცხრე საკლუბო შეჯიბრი ძიუდოში,სადაც მონაწილეობა მიიღო 15 მოსწავლემ.

2023 წლის 20 -22 აპრილს ხაშურში ჩატარდა საქართველოს პირველობა ბერძნულ - რომაულ ჭიდაობაში 20 წლამდელთა შორის, სადაც მონაწილეობა მიიღო ერთმა მოჭიდავემ.

2023 წლის 1-3 მაისს სტეფაწმინდაში ჩატარდა საქართველოს პირველობა ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში 15 წლამდელთა შორის, სადაც მონაწილეობა მიიღო ერთმა მოსწავლემ.

2023 წლის 2 მაისს ქალაქ ქუთაისში ჩატარდა 2 მაისობასთან დაკავშირებით მიძღვნილი ტურნირი მკლავჭიდში,სადაც მონაწილეობა მიიღო წარმატებით ოთხმა მოსწავლემ.
2023 წლის 2 მაისს ქალაქ ქუთაისში ჩატარდა კოლია ქვარიანის სახელობის ტურნირი ძიუდოში, სადა მონაწილეობა მიიღო შვიდმა ძიუდოისტმა წარმატებულად.
2023 წლის 6-7 მაისს ქალაქ თბილისში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი მკლავჭიდში, სადაც მონაწილეობა მიიღო ნიკა ჩხიკვაძემ და მოიპოვა ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის საგზური. ნიკა ჩხიკვაძეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მხარდაჭერით ადგილობრივი

ბიიჯეტიდან დაუფინანსდა ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის ხარჯები სრულად.

2023 წლის 18 მაისს სოფელ ბორითში ჩატარდა ლაშა კურტანიძის და მახარე ბარბაქაძის ხსოვნის ტურნირი ფეხბურთში, სადა მონაწილეობა მიიღეს სოხუმის დინამომ, ქუთაისის -მართვემ, დუშეთის -ჟინვალის, ხარაგაულისა და ბორითის ფეხბურთელთა გუნდებმა.

2023 წლის 19 -21 მაისს კასპში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი კარატეში, სადაც მონაწილეობა მიიღო 14 მოსწავლემ. ჩემპიონატში პირველი ადგილი დაიკავა მარიამ ქვემოთიანმა და გიორგი მუმლაძემ, მეორე ადგილი თამთა პავლაძემ, ხოლო მესამე ადილი დაიკავეს რეზი ფერაძემ და მიხეილ დვალმა.
2023 წლის 20 -21 მაისს ბორჯომში ჩატარდა ბორჯომის მერიის თასის შეჯიბრი ძიუდოში, სადაც მონაწილეობდა შვიდი მოსწავლე.

2023 წლის 24 მაისს ზესტაფონში ჩატარდა რესპუბლიკურ ტურნირი ძიუდოში, სადაც მონაწილეობდა 3 მოსწავლე.

2023 წლის 27 მაისს ქალაქ თბილისში ჩატარდა თბილისის ჩემპიონატი კარატეში, სადაც მონაწილეობა მიიღო ოთხმა მოსწავლემ.
2023 წლის 27 -28 მაისს კასპში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი კიკბოქსინგში, სადაც იასპარეზა ორმა მოსწავლემ.

2023 წლის 5 თვის ტურიზმის მიმართულებით ჩატარებული ღონისძიებების

შესახებ ანგარიში.

2023 წლის იანვრის თვეში მოეწყო ლაშქრობა ხერგილზე და მაისუროვის პარკში, სადაც მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა სკოლის 7 წარჩინებული მოსწავლე.

მარტის თვეში მოეწყო ლაშქრობები და მარკირებები დევის ხვრელსა და ჩხერის ციხეზე.

აპრილის თვეში მოეწყო ლაშქრობა სოფ. ვარძიაში ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაზე.

ანდრიაობის დღესთან დაკავშირებით მაისის თვეში ხარაგაულელი ახალგაზრდების ორგანიზებით მოეწყო მსვლელობა რკინის ჯვარზე, სადაც მონაწილეობა მიიღეს ჩამოსულმა სტუმრებმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ.აღნიშნული მსვლელობის ორგანიზებაში ჩვენი ცენტრის თანამშრომლები თანამონაწილეობდნენ.

მაისის თვეში საგაზაფხულო ფესტივლის ფარგლებში ჩავატარეთ ტურ - თამაშები მუნიციპალიტეტის კულტურისა და დასვენების პარკში, სადაც მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლემ(17 სკოლა) პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულ გუნდებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები, მონაწილეებს სიგელები.

2023 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო სპორტისა და ტურიზმის სამსახურმა.

მაისის თვეში ლაშქრობა მოვაწყვეთ დევის ხვრელში და ჩხერის ციხეზე, მონაწილეობდნენ ხიდრის საჯარო სკოლის მერვე, მეცხრე, მეათე კლასის 17 მოსწავლე და ერთი მასწავლებელი.

ივნისის თვეში ჩვენი ცენტრის თანამშრომლების ორგანიზებით მოეწყო ლაშქრობა ხერგილზე- მაისუროვზე ორი დღით, ზესტაფონის მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით (33 მოსწავლე და 4 მასწავლებელი)

ჩვენი ა(ა)იპის საქმიანობის წარმართვაში უფლებამოსილების შესაბამისად მონაწილეობას იღებს თითოული თანამშრომელი. სპორტის მიმართულებით შესამჩნევი შედეგები მნივნელოვანად განაპირობეს სპორტული მონაცემებით გამორჩეულმა მოსწავლე-ახალგაზრდობამ და მათი წარმატებებისათვის მებრძოლმა მწვრთნელმა-პედაგოგებმა.რეალობაა, რომ შიდა ტურიზმის განვითარების მხრივ კიდევ მეტი აქტივობაა დასაგეგმი და გასააქტიურებელია საქმიანობა. ჩვენს ორგანიზაციას უფლებამოსილების განხორციელებისათვის მაქსიმალური მხარდაჭერა აქვს მუნიციპალიტეტის მერის ბატონ კობა ლურსმანაშვილისგან.ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ მერიის

კულტურის,განათლების,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურთან ,ასევე საკრებულოს განათლების,კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიასთან.სამომავლოდ ვეცდებით ჩვენ მიერ ჩატარებული ღონისძიებების რიცხვიც კიდევ უფრო მეტად გაიზარდოს და მიღწეული შედეგებიც.

პატივისცემით,

ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“-ს

დირექტორი: რევაზ შერგელაშვილი